

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს

ძვირფასო სტუდენტებო,

2014 წლის 1-10 ივლისს ტარდება მეორე სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

კონფერენციის ფარგლებში მოხსენების გაკეთება სავალდებულოა დოქტორანტებისთვის, აგრეთვე იმ სტუდენტებისთვის ვინც ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, საბაკალავრო ნაშრომს, ჯგუფურ პროექტს ან პროექტს. მოხსენებებს შეაფასებს აკადემიური პერსონალიდან დაკომპლექტებული კომისია წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კონფერენციის ვებ გვერდზე:

<http://conference.sens-2014.tsu.ge/>

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეობმა უნდა გაიარონ ელექტრონული რეგისტრაცია და უნდა ატვირთონ შესრულებული ნაშრომი კონფერენციის ვებ გვერდზე. აქვე შესაძლებელია ნაშრომის რეზიუმეს ინგლისური ვერსიის განთავსებაც.

სტუდენტებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა გააკეთონ ზეპირი მოხსენება პროფესორებისა და სხვა სტუდენტების წინაშე, უპასუხონ დასმულ შეკითხვებს და თვითონაც დასვან შეკითხვები, გააცნონ თავიანთი ნაშრომი სხვებს და გაიგონ თუ რა თემაზე მუშაობენ სხვა სტუდენტები.

კონფერენცია მნიშვნელოვანია სტუდენტთა სამეცნიერო წრეებისთვის გასულ სემესტრში ჩატარებული სამუშაოს წარმოსაჩენად.


კონფერენციაში მონაწილეობა ნებადართულია სხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის.

კონფერენციაზე მოხსენების გაკეთება მნიშვნელოვანია ბაკალავრიატის იმ სტუდენტებისთვისაც, ვინც მომავალ სემესტრში სასტიპენდიო-კონკურსში აპირებს მონაწილეობის მიღებას.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში წარმატებით მონაწილეობა შეგძენთ მნიშვნელოვან გამოცდილებას და გააფართოებს თქვენს თვალსაწიერს.

გისურვებთ წარმატებას!

პატივისცემით,



რამაზ ბოჭორიშვილი,

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი